ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული - ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და
საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№–8

2022 წელი, 18 მარტი, 10:30 სთ.

ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
ცოტნე კობერიძე

მოწვეული პირები:

- ვახტანგ ლომჯარია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- სერგო ბირკაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ნიკოლოზ ჭონქაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- დავით ფაჩულია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორი;

- ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ ჩივაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1351–1355 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

12. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

15. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

16. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

17. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

18. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უმრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. "ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს მე-4 შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. "ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში(საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 41.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.029) და ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 68.90 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. "ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.003.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

28. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.003.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

30. "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩა, „გ" ზონა, N18-ში მდებარე 81.12 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.100.010.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

31. „ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.03.068.007.01.534 და N01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

32. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

33. “ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.31.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

34. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი გაწკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

35. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, ზემო პლატოს კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.006.01.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, იორის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.542.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

37. “ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

38. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის II ჩიხის N8-ში მდებარე 72.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.011.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

39. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

40. ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N21ა-სა და კორპუს N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

41. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

42. „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ“, კოტეჯი N122-ში მდებარე 84.69 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

43. "ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV ბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.958) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

44. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

45. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ბ-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.028.024) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

46. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს" (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების" ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

47. „ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

48. „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის" (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

50. „ქ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

51. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54 (ს/კ: N01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ედემის“ (ს/ნ 405098727) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

52. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ. (ნაკვეთი N2/40); დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბაღის და ავტოგასამართ სადგურს შორის (ნაკვეთი N2-72) (ს/კ: N01.11.13.002.072) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (ს/ნ 202161098) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

53. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31 (ს/კ: N01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს ,,ბაგები რეზიდენსის" (ს/ნ 405446209) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

54. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს ,,იერი ჯგუფის“ (ს/ნ 404626785) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

55. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ

204460957) და შპს „ნიუ სითის“ (ს/ნ 404516582) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ხორციელდება:

1. დადგენილების სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება;
2. დადგენილების პირველ მუხლისათვის ახალი პუნქტის დამატება, რითაც, ამავე დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამისი ტარიფები ჩაირიცხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ანგარიშზე;
3. ცვლილებები ეხება მე-2 მუხლის რიგ პუნქტებს, მათ შორის: მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პრეამბულა ყალიბდება ახალი რედაქციით, „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებს“ მიეცემათ შეღავათიანი მგზავრობის უფლება, ამასთან, ახალი პუნქტით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე კატეგორიების პირებისთვის დგინდება თითოეული პირისთვის კალენდარული თვის განმავლობაში დადგენილებით განსაზღვრული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში მაქსიმალური რაოდენობის მგზავრობა რიგ შემთხვევაში არაუმეტეს 100, ხოლო რიგ შემთხვევაში არაუმეტეს 200 მგზავრობის ოდენობით, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული ფასდაკლების სისტემით სარგებლობისას მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის ფუნქციის მქონე ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების (გარდა ვადიანი სამგზავრო ბარათისა) გამოყენების შემთხვევაში - კალენდარული თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში არა უმეტეს 200 მგზავრობისა.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილება ამოქმედდება 2022 წლის პირველი აპრილიდან. ხოლო, დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გავრცელდება 2022 წლის პირველი მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე

დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედ რედაქციაში შემდეგი ხასიათის ცვლილებების შეტანას:

- დადგენილების 1^1 პუნქტი ყალიდება ახალი რედაქციით, რითაც, ამ დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებართვის გაცემის ფასი 2017 წლის პირველი მაისიდან 2025 წლის პირველ აპრილამდე განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით".
- ცვლილება შეეხება დადგენილები მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „მ2" და „ქ" ქვეპუნქტებს, 18^1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს, ამავე მუხლის 4^1 პუნქტს, მე-8 პუნქტს, რითაც, გარდა სხვა ღონისძიებისა, ტექნიკური ხასიათის სიზუსტისათვის, წესში მიეთითება - ტერმინი: „ტარიფი/ფასი".

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის მთავრობის 2022 წლის 10 მარტის №122 დადგენილებით, რომლის მიხედვით, ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვრა 2025 წლის პირველ აპრილამდე. შედეგად, შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი.

ვასილ აბულაძის მითითებით, დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2022 წლის პირველი აპრილიდან, ხოლო, დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების 1^1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა^1" ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვრება 2025 წლის პირველ აპრილამდე.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ვინაიდან, წარმოდგენილია ორი დადგენილების პროექტი, მიზანშეწონილია, გაერთიანდეს აღნიშნული პროექტები და მასში ასახული ცვლილებები ჩამოყალიბდეს ერთი სამართლებრივი აქტის სახით, ამასთან, დასძინა, რომ ვინაიდან, წარმოდგენილ პროექტებში ამოქმედების თარიღად ერთ შემთხვევაში განსაზღვრულია 2022 წლის პირველი მარტი, ხოლო მეორე შემთხვევაში - 2022 წლის პირველი აპრილი, მიზანშეწონილად მიიჩნია, გაერთიანებულ სამართლებრივ აქტში დადგენილების ამოქმედების თარიღი თითოეულ ნაწილში მითითებულ იქნას დამოუკიდებლად.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ შენიშვნებს/მოსაზრებას ამასთან, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა 2022 წლის 14 თებერვალს წარმოდგენილი პროექტის ამოქმედება მის გამოქვეყნებისთანავე, რასაც დაეთანხმა კომისია.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ხორციელდება:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების სათაურის შემდეგი სახით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" რედაქტირების გამო, ცვლილებები შედის 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილების მოქმედი რედაქციის პრეამბულაში, პირველ მუხლში, მე-5 მუხლის პრეამბულაში, მე-6 მუხლში, მე-8 მუხლში, მე-18 მუხლში (ასევე სწორდება ტექნიკური ხარვეზი), „18[1]მუხლში, მე-19 მუხლში, მე-20 მუხლში, 20[1] მუხლში, 20[2]მუხლში და 22-ე მუხლში.
- დადგენილების მე-2 მუხლში სწორდება არსებული ხარვეზი და მიეთითება „საბაგირო გზა „უნივერსიტეტი - ბაგები";
- ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების მოქმედი რედაქციის 4[1] მუხლი რაც იწვევს: ამავე მუხლში 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილების სათაურის სწორი ფორმით მითითებას, ამ უკანასკნელი დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიებისათვის, უფასო და შეღავათიანი მგზავრობისათვის განსაზღვრული ტრანსპორტის ზოგად ჩამონათვალს, ასევე, უფასო და შეღავათიანი ბარათების არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, ნაცვლად 6 თვისა, ბარათის დაბლოკვის საკითხს 1 წლის ვადით, ამავე მუხლში ემატება ახალი პუნქტი „ბ" - სახით სადაც მიეთითება შემდეგი:

„ბ) 3[2] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადიანი სამგზავრო ბარათის შემთხვევაში ამ ბარათის გამოყენება მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ტრანსპორტით (M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო გზა „უნივერსიტეტი-ბაგები") ორი ან მეტი პირის მგზავრობისათვის, აღნიშნული შემთხვევის გამოვლენისას საჯარიმო ქვითრის შედგენაზე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის

მიწოდებას ბარათის გამცემისათვის, რა დროსაც ბარათის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გააუქმოს (ანულირება მოახდინოს) ვადიანი სამგზავრო ბარათი.

- უფასო მგზავრობის უფლების მქონე სუბიექტების შესახებ უფლებამოსილი ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდება დაევალება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას".

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება, დამტკიცების შემთხვევაში არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე,

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, ვინაიდან, M3 კატეგორია, მსგავსად M2 კატეგორიისა, ასევე არის „ინტეგრირებული" მგზავრთა გადაყვანის საშუალება, მიზანშეწონილია, „ტერმინი" – „მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული" ასევე ჩაემატოს M3 კატეგორიის აღნიშვნისას, დადგენილების მოქმედი რედაქციის შემდეგ ნაწილებში: სათაურში, მე-2 მუხლში, 21-ე მუხლში და 21² მუხლში - ორივე კატეგორიის მითითებისას, მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნა და წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლად განსაზღვრული, პროექტის ამოქმედების თარიღი შეიცვალოს და ნაცვლად: „დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველ მარტიდან", ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე".

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული წინადადება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის სათაურის, პრეამბულას, პირველი და მე-2 მუხლების, დადგენილების მე-2

მუხლით დამტკიცებული წესის სათაურის, პირველი მუხლის, მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის, მე-7 და მე-8 მუხლების, მე-10 მუხლის, მე-13 მუხლისა და მე-14 მუხლის რიგი პუნქტების/ქვეპუნქტების/სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც მომხსენებლის განმარტებით, განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125² მუხლით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების განსაკუთრებით მომატების გამო, მათი აღკვეთის ხელშეწყობისათვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ასევე მიენიჭოს 125² მუხლით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის, აგრეთვე 125² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის უფლებამოსილება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე მიუთითა, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედი რედაქციის სათაურის, პრეამბულას, პირველი მუხლი, მე-2 მუხლის, მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის სათაური, პირველი და მეორე მუხლების, დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის სათაურის, პირველი მუხლის პირველი პუნქტის, წესის 3² მუხლის რიგი პუნქტების, ასევე, მე-8 და მე-10 მუხლების შესაბამისი პუნქტების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რითაც, ხორციელდება:

▪ დადგენილების რეგულირების საზღვრებში ექცევა, კომპეტენტური ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 და მე-16 ნაწილებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება, შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილებზე მითითება ემატება, დადგენილებისა და დამტკიცებული წესის შესაბამის პუნქტებში, ამასთან, მიეთითება აღნიშნულისათვის გათვალისწინებული სახაზინო კოდები;

▪ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდი ყალიბდება ახალი რედაქციით;

▪ ზუსტდება გასაჩივრების ორგანო და იცვლება სამართალდარღვევებისათვის განსაზღვრული საურავის ოდენობები;

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებით, მისი, ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრული წესის 3²მუხლის მე-8 პუნქტიდან საჯარიმო ქვითრის გადახდის წესის ამოღებისა და მხოლოდ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გადახდის წესის დატოვების მიზანშეწონილობაზე, ასევე, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გადახდის წესის ნაწილში ცხელი ხაზის ნომრის მითითებაზე, პროექტით წარმოდგენილ, 3² მუხლის ზემოაღნიშნულ მე–8 პუნქტში, სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებისათვის დადგენილი საურავის ნაწილში, ამავე კოდექსის 125²–ე მუხლისათვის განსაზღვრული საურავის სწორი სახით მითითების აუცილებლობაზე და მე-8 პუნქტის მიმართ გამოთქმული შენიშვნების ამავე მუხლის მე–7 პუნქტით განსაზღვრულ დანართ 6–ში (ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მე–2 გვერდზე) ასახვის საკითხებზე.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის მიერ მითითებულ შენიშვნებს, ამასთან, წინადადებით მიმართა კომისიას, რომ პროექტით წარმოდგენილ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის (დანართი 6) პროექტის მე-2 გვერდზე ამოღებულ იქნას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის განსაზღვრული სახაზინო კოდები, გვერდის ფორმატის გადაჭარბების გამო, ასევე, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლად განსაზღვრული ამოქმედების თარიღის ნაცვლად, „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე" მითითების საკითხზე.

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული წინადადებები.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულამემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში რიგი ცვლილებების განხორციელებას, რითაც, სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ასევე ენიჭება 125² მუხლით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის, აგრეთვე 125² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის უფლებამოსილება.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულამემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც აღნიშნული დადგენილების სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების, დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის სათაურის, პირველი მუხლის, მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის რიგი პუნქტების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რითაც, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობის, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ

წაყვანის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად (რასაც იგი №19-70 დადგენილებით დღეის მდგომარეობით ახორციელებს) ენიჭება უფლებამოსილება საჯარიმო ქვითარი შეადგინოს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსებით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" უბილეთო მგზავრობის, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანის შემთხვევებშიც.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის ამოქმედებისათვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობაზე და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და წინადადებით მიმართა კომისიას პროექტი ამოქმედების დროის ნაწილში, მიეთითოს „გამოქვეყნებისთანავე" ნაცვლად „პირველი მარტისა.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებისათვის ახალი ქვეპუნქტების დამატებას, რაც შეეხება ტაქსში (M1 კატეგორია) დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესების შესრულებასა და წესების შეუსრულებლობის ფაქტების აკრძალვას.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, რითაც, „საზოგადოებრივი ტრანსპორტი" განიმარტა, როგორც „ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, ტაქსი და აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზეც გავრცელდა თამბაქოს მოწევა

აკრძალვა, ასევე, დასძინა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ამოქმედებისთვის არ არის საჭირო შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - დავით ჯაიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ხსენებული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, შემდეგი გარემოების გამო:

- მომზადებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც სხვა ღონისძიებასთან ერთად ითვალისწინებს, მოქმედი რედაქციის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები) გაუქმებას, რომელიც იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების მოქმედების საფუძველი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გაღებას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - დავით ჯაიანმა, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მითითებული დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რითაც, განხორციელება:

- მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში, დროებითი ღონისძიების სახით, ამოქმედებულ იქნა M2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები, რომლებიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართებში. აღნიშნული მარშრუტების ამოქმედებით განხორციელდა მათი სრული თანხვედრა დანართი 1-ით განსაზღვრულ მარშრუტებთან და ჩაანაცვლა განსაზღვრული მარშრუტები;
- კორექტივები შევიდა ამჟამად მოქმედ მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) შესაბამის მარშრუტებზე

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების მოქმედი რედაქციის დანართი 1-ით განსაზღვრული მარშრუტები ახალი მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების სრული ამოქმედების შემდეგ აღარ ფუნქციონირებს და საჭიროებს დანართი 1-ის გაუქმებას, ასევე მიუთითა, რომ პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2022 წლის პირველი მარტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - დავით ჯაიანმა, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას და მტკიცდება:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების განრიგი;
- პროექტის ამოქმედებამდე დანართი 1-ით დამტკიცებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებზე გავრცელდება ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები და გავრცელდება 2022 წლის პირველი თებერვლიდან წარმომობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი მომზადებულ იქნა მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ამოღებულ იქნა მოქმედი დანართი N1-დან შესაბამისი ავტობუსების მარშრუტები, ავტობუსის (M2 კატეგორია) მარშრუტების ამოქმედებით, ამასთან, მარშრუტებს მიენიჭა შესაბამისი ნუმერაცია და ამოქმედდა ახალი მარშრუტები;

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-12 საკითხად განსაზღვრული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მითითებულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა, დღემდე არ იყო გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტებისათვის, რომლებსაც ინერტულ ნარჩენებთან ერთად წარმოექმნებათ დიდი რაოდენობით მუნიციპალური ნარჩენები, რაც ხვდება მუნიციპალიტეტის მიერ განთავსებულ კონტეინერებში და გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტიმ შესაბამისად, აუცილებელია, რომ სამშენებლო ნებართვის მქონე პირები აღირიცხონ როგორც მოსაკრებლის გადამხდელები და მათ მიერ გადახდილ უნდა იქნას შესაბამისი მოსაკრებელი, რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრას, ამ მიზნით განხორციელდა დედაქალაქში მოქმედი საამშენებლო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გაანგარიშება (ქრონომეტრაჟი), პროექტით წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტების კატეგორიების მიხედვით და დადგინდება მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა, ხოლო, წარმოქმნილი ნარჩენების შესაბამისი მოსაკრებლის გაანგარიშებისათვის წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა გადაყვანილი იქნა ზომის ერთეულზე (კ-2 საანგარიშო ფართობის მეტრ კვადრატი) და შეეფარდა მოსაკრებელი ოცდახუთი ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობების ფარგლებში.

ვახტანგ ლომჯარიამ დაამატა, რომ ვინაიდან, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია პირი, რომლის საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენები, შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტებზე და თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამშენებლო ობიექტებს დაუწესდებათ დასუფთავების მოსაკრებლის კონკრეტული განაკვეთები.

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან, პროექტის მიღებით გაიზრდება მოსაკრებლის სახით შემოსული თანხების ოდენობა. ასევე დასძინა რომ ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა

უფლებრივ მდგომარეობაზე, მისი მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2022 წლის 1 მარტამდე გაიცა და ამოქმედდება 2022 წლის 1 მარტიდან.

აზრი გამოთქვეს:

საკითხის წარმომდგენმა ითხოვა დადგენილებით განსაზღვრული სპეციალური წესისა და დადგენილების ამოქმედების თარიღების დაზუსტება. კერძოდ:

- ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედება არ გავრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2022 წლის 01 აპრილამდე გაიცა და დადგენილება ამოქმედდება 2022 წლის 01 აპრილიდან. ამასთანავე, დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული დანართის ცხრილის შემდგომი მოწესრიგების შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბება: „ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ინდივიდუალურ მეწარმეთათვის“.

კომისია დაეთანხმა საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებულ წინადადებებს.

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის დადებით მხარეებზე და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის შემუშავება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაწყებული ძირეული და მნიშვნელოვანი ცვლილებების ნაწილს, რომლებიც დადებითაც უნდა აისახოს მუნიციპალური მომსახურების ეფექტურ საქმიანობაზე, რათა სათანადო დონეზე ფუნქციონირებდეს ადგილობრივი სერვისები, ამასთან, პარალელი გაავლო, ევროპის სახელმწიფოების მაგალითზე მუნიციპალური პოლიციის (საქალაქო პოლიციის) ძლიერ მხარეებზე, უფლებამოსილებებათა ფართო სპექტრზე, ასევე, სურვილი გამოთქვა, სამომავლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფრო მეტად გაძლიერების საკითხზე, რაც მეტად შეუწყობს ხელს სამართლებრივი აქტების აღსრულების საკითხს.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას.

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - მარიამ ჩივაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-5 და მე-9 მუხლებში ცვლილებების შეტანას, რაც გულისხმობს:

- მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურის ცვლილებას, კერძოდ ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა განხორციელდება არა მიმწოდებელის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად, არამედ, მიმწოდებლის წერილის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
- განისაზღვრება, რომ ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა (მშობელი/კანონიერიწარმომადგენელი) უნდა მიმართოს მიმწოდებელს განცხადებით. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მიმწოდებელი, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, წერილით მიმართავს განმახორციელებელს პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით;
- ქვეპროგრამაში ახალი დაწესებულების ჩართვისას (რეგისტრაციისას), ბენეფიციართა ჩართვის კუთხით, უპირატესობა მიენიჭება იმ ბენეფიციარს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განცხადებით უკვე არსებულ მიმწოდებელ დაწესებულებას და არ მიუღია მომსახურება.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიაჩნია, ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტით იცვლება წესის მე-5 მუხლი, რომელსაც მისაღები რედაქციით, მე-15 პუნქტი აღარ ექნება, მოქმედი წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითება გაკეთდეს მე-5 მუხლის მე-13 პუნქტზე ნაცვლად ამავე მუხლის მე-15 პუნქტისა. შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტს უნდა დაემატოს მე-6 მუხლში ცვლილება.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნა.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ჩივაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ხსენებული დადგენილების პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართი №8 –ში, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელებას:

▪ ზუსტდება, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლეები იქნებიან, ის საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი პირები, რომლებმაც აღნიშნული სტატუსი მიიღეს თბილისში და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში" მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000–ს.;

▪ კანონიერი წარმომადგენლის მითითების ნაწილში, ხდება სიტყვის „კანონიერი" ამოღება.

▪ მიმწოდებელს ანგარიშგებისას, აღარ ექნება ვალდებულება წარადგინოს – პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ფორმა №IV-100/ა) შესაბამისი მედიკამენტების მითითებით, (აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის საჭიროება აღარ არსებობს ვინაიდან პირის ქვეპროგრამაში ჩართვის ეტაპზე უკვე ხდება ამ დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენა).

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5–14 დადგენილების სათაურის სწორად მითითების, ასევე, პროექტის თანახმად, წარმოდგენილი წესის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტში სიტყვები „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზა" ჩამატების მიზანშეწონილობაზე, ასევე ამ უკანასკნელი პუნქტის იმგვარად რედაქტირებაზე, რომ ნათელი იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სოციალური სტატუსის მინიჭების (და არა საპენსიო სტატუსისა) წინაპიროება/აუცილებლობა.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-15 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რითაც ცვლილება შედის ხსენებული დადგენილებით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკაში" (დანართი №1), ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11) და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილში" (დანართი N2), კერძოდ:

▪ აკადემქალაქის ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A'' არეალში. იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,თ''

ქვეპუნქტის შესაბამისად, დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ ,,A'' არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად, ვინაიდან, არ იკვეთება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის არსებული სავალდებულო პირობები, გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებია. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია მოიხსნება აკადემქალაქის ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A'' არეალის რუკიდან.

- კორექტირდება გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქალაქგეგმარებითი არეალის რეგლამენტი, ვინაიდან, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში (დანართი N1) განხორციელდა ცვლილება და დაკორექტირდა ტბების (მათ შორის დიდი და პატარა გლდანის ტბების) წყალდაცვითი ზოლის სიგანე. შესაბამისად, 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: ,,დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია წყალდაცვითი ზოლის გათვალისწინებით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის შესაბამისად. აგრეთვე, დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.''
- ცვლილების შედეგად ტერიტორიის განვითარების დასაშვებობაზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარული დაცვის ზონის ნაცვლად წყალდაცვითი ზოლი. აგრეთვე ცვლილების შედეგად უქნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც გლდანის ტბის მიმდებარე ტერტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა სანიტარიული დაცვის ზონის სარტყლების განსაზღვრის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა.
- ცვლილებას ექვემდებარება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი, ვინაიდან, უკვე განხორციელდა კოჯორი-შინდისის მიმდებარედ დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმების რევიზია და აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები ამორიცხულია სარევიზიო განაშენიანების რეგულირების გეგმების ნუსხიდან.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებით, მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორებისა და სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, დადგენილების პროექტის „ბ" პუნქტის დისპოზიციის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ზაზა თავაძემ თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-16 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტები, რომლებიც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებებით და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ:

- დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 პუნქტის პირველი პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტები განსაზღვრავს სარეკრეაციო ზონა 2-სა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) რეგლამენტს. არსებული რედაქციის მიხედვით, მინიმალური ფართობი (600 კვ.მ.) ორივე ზონისთვის დადგენილი იყო იმ მიწის ნაკვეთებისთვის, რომელთა გამიჯვნაც განხორციელებულია 2019 წლის 1 აპრილიდან. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) არსებული მიწის ნაკვეთებისთვის, რომლებიც გამიჯნულია 2019 წლის 1 აპრილიდან და მდებარეობენ გაუნაშენიანებელი ტერიტორიის არეალში, მინიმალურ ფართობად დადგენილი იყო 600 კვ.მ, ხოლო, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, 2019 წლის 1 აპრილის ნაცვლად, აღნიშნული შეზღუდვა (მინიმალური ფართობი: 600 კვ.მ.) შეეხება 2020 წლის 1 იანვრიდან გამიჯნულ მიწის ნაკვეთებს;
- ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2-სა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) რეგლამენტი შესაბამისობაში მოვა განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლის მე-7 პუნქტთან, რომელიც აწესებს შემდეგ რეგულირებას: „2020 წლის 1 იანვრიდან განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამიჯნულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა დაუშვებელია;
- დადგენილებით დამტკიცებული წესების 16² მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი ფუნქციის დაშვებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებას, იმ ობიექტებზე, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი, ამასთან, წესები ადგენს გამონაკლისს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებსა და იმ ობიექტებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად;
- ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული გამონაკლისი ასევე უნდა დადგინდეს 16² მუხლით არსებული რეგულირებისთვის, შესაბამისად, დადგენილებით დამტკიცებული წესების 16² პუნქტს, მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

,,5. ამ მუხლით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებსა და იმ ობიექტებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პუნქტის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობის ფარგლებში, მოთხოვნილი საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 75%-ს."

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტების გაერთიანება და ერთი დადგენილების პროექტად ჩამოყალიბება, ამასთან, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-17 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიული ერთეულების – უბნების საზღვრებში ცვლილების შეტანას, კერძოდ, კორექტირებას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი ნაწილი - კალა, ორთაჭალისა და ფონიჭალის საუბნო საზღვრები.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა „ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტების - თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ" საქართველოს პარლამენტის (1067-VIმს-Xმპ, 02.12.2021) დადგენილებით თვითმმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილებამ, ამ დადგენილების №1 დანართის (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლილი მონაკვეთის (გარდაბნის მუნიციპალიტეტის მომიჯნავე ნაწილის) აღწერა) და №2 დანართის (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შედეგად მიღებული ტერიტორია) შესაბამისად.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მითითება ასევე, პროექტი გასწორდეს ტექნიკური თვალსაზრისით კომისიის დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-18 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ხსენებული დადგენილებით დამტკიცებულ საზღვრებში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, კორექტირებას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი ნაწილი - კრწანისის რაიონის საზღვარი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა „ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტების - თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილებამ, ამასთან, დასძინა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მითითება და პროექტის პრეამბულას დასკვნის შესაბამისად ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჭონქაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-19 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის #10-10 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულება, რის თანახმადაც, სამსახური უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თბილისის მერიის, თბილისის რაიონული გამგეობების, თბილისის მერიის ობიექტების, თბილისის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების უსაფრთხოებას, თუმცა, სამსახურის სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამსახურის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება. კერძოდ, ვინაიდან, სამსახური ახორციელებს უსაფრთხოების სისტემების, მათ შორის, ვიდეო-სამეთვალყურეო და საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობების აღჭურვას, მონიტორინგს, მოვლა-პატრონობასა და ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზებას, საჭიროა კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზირებული განყოფილების შექმნა.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის N7 სხდომის ოქმის საფუძველზე გამოცემული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე", ხოლო, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამსახურში არსებული „ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების" ნაცვლად იქმნება ორი განყოფილება:

1. „ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება";
2. „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება".

მომხსენებელმა დასძინა, რომ სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, სისტემური მმართველობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, კერძოდ:

- სამსახური უზრუნველყოფს თბილისის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების უსაფრთხოებას.
- სამსახური უზრუნველყოფს თბილისის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების და ობიექტების ვიდეო სამეთვალყურეო, სერვერული, აუდიო, უსაფრთხოების სისტემებით, საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებით აღჭურვას/დანერგვას და

შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, მოვლა-პატრონობას და ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზებას, დაცვის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გატარებას, მონიტორინგის განყოფილების ვიდეო სამეთვალყურეო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ პროექტი ამოქმედდება 2022 წლის 1 მაისიდან, ასევე, მიუთითა, რომ პროექტის მიღებით სამსახურის ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ფონდი იზრდება 880 ლარით, პროექტი დაფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით „უსაფრთხოების საქალაქო სამსახური"-ს (კოდი 10.13) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ამასთან, პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-10 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს:
ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის ამოღების, ასევე, პროექტით დასამტკიცებელი დებულების მე-2 მუხლის „თ" პუნქტის ამოღების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

კომისიის წევრმა - ცოტნე კობერიძე კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რით იქნა განპირობებული წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილი ცვლილება - სამსახურში არსებული, ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების" ნაცვლად ორი განყოფილების: „ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება" და „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება" შექმნა, რაც ემსახურება სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ზაზა თავაძემ თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან, ხოლო, ამავე კომისიის წევრმა - ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჭონქაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-20 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი,

რითაც ცვლილება შედის ამავე დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N8 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა" ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის N7 სხდომის ოქმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე", შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სამსახურში კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზირებული განყოფილებების შექმნა, კერძოდ:

- „ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება" – 8 საშტატო ერთეულით:
- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) -1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 2200 (ორიათასორასი) ლარი);
- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1430 (ერთიათასოთხასი) ლარი);
- პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);
- „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება" 7 საშტატო ერთეულით:
- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 2200 (ორიათასორასი) ლარი);
- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1430 (ერთიათასოთხასი) ლარი);
- პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);

მომხსენებლის განმარტებით, სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, სტრუქტურული ქვედანაყოფების საშტატო ნუსხაში დადგენილების პროექტით ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

- სწრაფი რეაგირების განყოფილებას აკლდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1430 (ერთიათასოთხასოცდაათი) ლარი) და ემატება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);
- მონიტორინგის განყოფილებას ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1430 (ერთიათასოთხასოცდაათი) ლარი) და პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი)) ლარი;
- ობიექტების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);
- ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილებას ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1430 (ერთიათასოთხასოცდაათი) ლარი) და აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი

სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);

- გამგეობების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი);
- პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1320 (ერთიათასსამასოცი) ლარი) გადაკეთდა მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) 1 საშტატო ერთეულად (თანამდებობრივი სარგო 2200 (ორიათასორასი) ლარი).

მომხსენებელმა დასძინა, რომ დღეის მდგომარეობით სამსახურის საშტატო ნუსხით განსაზღვრულია 89 საშტატო ერთეული, ხოლო, პროექტით, სამსახურის საერთო საშტატო რიცხოვნება არ იცვლება და შეადგენს 89 საშტატო ერთეულს, ასევე მიუთითა, რომ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მოცემული დადგენილების პროექტთან.

მომხსენებლისვე მითითებით, პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან და დაფინანსდება მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით „უსაფრთხოების საქალაქო სამსახური"-ს (კოდი 10.13) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, ამასთან, დასძინა, რომ დადგენილებისა და დებულების პროექტები ამოქმედდება 2022 წლის 1 მაისიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ზაზა თავაძემ თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან, ხოლო, ამავე კომისიის წევრმა - ცოტნე კობერიძემ მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკრგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს აღნიშნული განკარგულების, პირველ პუნქტისათვის „გ" ქვეპუნქტის დამატებას, რომლის მიხედვითაც, საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ანგარიშსწორება განხორციელდება უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, შესაბამის კომერციულ საბანკო დაწესებულებაში, ნასყიდობის საფასურის გადახდის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მომხსენებელმა დასძინა, რომ განკარგულების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში გავრცელდება 2022 წლის 14 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის N22.237.263 განკარგულების მითითების შესახებ, ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 14 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე."

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსნმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 22-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ერეკლე მეორეს მე-4 შესახვევი N5, მე-3 სართულზე, 55.08 კვ.მ ფართის ბინა N20-ის, 25 (ოცდახუთი) წლის მანძილზე მცხოვრებ მოქალაქე მარიკა გუმბერიძისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასადა პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა; თავის მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მთავრობას დევნილის სტატუტის არმქონე პირისათვის თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფაზე;
- დაინტერესებული პირის მიერ, 25 (ოცდახუთი) წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი; ამასთან, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, მეზობლები

ადასტურებენ, რომ მარიკა გუმბერიძე 1992 წლიდან ცხოვრობს და ფლობს განცხადებაში მითითებულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთს და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობას;
▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირის სახელზე საკუთრებაში რეგისტრირებულია ვანის რაიონში, სოფელ მუქედში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი;

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის კომისიის დასკვნის შესაბამისად რედაქტირებისა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ზაზა თავაძემ თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 23-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, მარუაშვილის ქუჩა N50, ფაქტობრივად მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას (საერთო ჯამში გადაეცემათ 199.61 კვ.მ უძრავი ქონება):

▪ ნინო ლეთოდიანი; ირმა დევდარიანი; ბელა გელაშვილი; ლალი მაჩიტაძე, თეა მანდარია; სალომე ოჩხიკაძე და გალინა ბოკუჩავა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა განცხადებით მიმართეს ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ითხოვეს თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის შესწრავლის შემდგომ შუამდგომლობით მიემართა სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს, ასევე დასძინა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, მოქალაქეები 2000-2009 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მარუაშვილის ქუჩა N50-ში, ხოლო, გამგეობის მიერ შედგენილი აქტებით, პირები ფართებში ცხოვრობენ 2000-2009 წლებიდან და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 24-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2, სართული 9, ბინა N29-ში მდებარე 41.30 კვ.მ უძრავი ქონების და ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2, სართული 9, ბინა N31-ში მდებარე 68.90 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ანა ჩხორთოლიასთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გაეწია რეკომენდაცია განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში", თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ-ს;
- მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ბინა ერთეული/ერთეულების ფართობი განისაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით, ხოლო ზემოაღნიშნული ბინა ერთეულის/ერთეულების მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა დაევალა სსიპ-ქონების მმართვის სააგენტოს;
- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოსა და შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუპ +"-ს (ს/ნ: 405164343) შორის 2020 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და შესაბამის უძრავ ქონებაზე განაშენიანების ინტენსივობის (კ2) კოეფიციენტის გაზრდის მაკომპენსირებელ ღონისძიებად, სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურის (დღეის მდგომარეობით: სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) წერილით, კომპანიას დაევალა, მუნიციპალიტეტისათვის ჯამში 109.7 კვ.მ საცხოვრებელი ფართის გადაცემა, ე.წ. „თეთრი კარკასის მდგომარეობაში", ვალდებულების სახით განისაზღვრა.

მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ე.წ „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში".

- სააგენტოს მიერ 2021 ზემომითითებული ფართები ორჯერ გამოცხადდა ელექტრონულ აუქციონზე, თუმცა, უძრავი ქონება არ გასხვისდა. შესაბამისად, საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული წესის, სააგენტოსა და კომპანიას შორის დადებული „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის" თანახმად, მთავრობას წარედგინება ზემომითითებული პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხი;
- სააგენტოსა და კომპანიას შორის მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, სააგენტოს წარედგინა კომპანიისა და მოქალაქე ანა ჩხორთოლიას ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც, კომპანიის მიერ მოძიებული დაინტერესებული პირი გამოთქვამს მზაობას შეიძინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება;

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2021 წლის 9 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ღირებულების (1 კვ.მ უძრავი ქონება - 2180 ლარი) ნაცვლად, 1 კვ.მ უძრავი ქონება - 600 აშშ დოლარის ექვივალენტი დადგენილი ეროვნული ვალუტის კურსის (ლარი) მიხედვით. ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ უძრავი ქონების შეძენა განხორციელდება „პრივატიზების წესით" განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით. კერძოდ, დაინტერესებულმა პირმა განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გარდა უნდა უზრუნველყოფს კომპანიისთვის (უძრავი ქონების პირველადელი მესაკუთრისთვის) საპრივატიზებო საფასურის არაუმეტეს 3%-ის ოდენობის თანხის გადახდა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუპ +"-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილება, მითითებული უძრავი ქონების სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ ღირებულებაზე (N01.12.12.018.059.01.01.029 საკადასტრო ერთეული - 90,034 (ოთხმოცდაათი ათას ოცდათოთხმეტი) ლარი და N01.12.12.018.059.01.01.031 საკადასტრო ერთეული - 150.202 (ასორმოცდაათი ათას ორასორი) ლარი) ნაკლები ოდენობით გასხვისების შესახებ, მისივე მითითებით, მთავრობის გადაწყვეტილებით, უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და 1 კვ.მ უძრავი ქონების ღირებულება (600 აშშ დოლარი) გაანგარიშებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ განკარგულების გამოცემის თარიღისათვის დადგენილი ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით და საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება მითითებული უძრავი ქონების ღირებულებების არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 25-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (საერთო ჯამში გადაეცემათ 63.35 კვ.მ უძრავი ქონება) მდებარე: ქალაქ თბილისი, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1, ფაქტობრივად მცხოვრები ელმან საფაროვისა და იბრაგიმ იზნომისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიემართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში 2006-2007 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, მეზობლების მიერ სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, გამგეობის - გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების შედგენილი აქტები, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტები;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ელმან საფაროვი და იბრაგიმ იზნო დევნილად რეგისტრირებული არ არიან;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 26-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში, მდებარე 24.38 კვ.მ ფართის ბინა N44-ის (სხვენის) მოქალაქე ვახტანგ ციცვიძესთვის, რომელიც 1994 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გააამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ზემოაღნიშნულმა პირმა განცხადებით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას და ითხოვა თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, წერილობით მიემართა უფლებამოსილ ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების საკითხზე;
- დაინტერესებული პირის მიერ, 15 (თხუთმეტი) წელზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, ნაძალადევის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტით აღნიშნული პირი ცხოვრობს 1994 წლიდან, რასაც ასევე ადასტურებს, ამხანაგობა „გალი"-ს,ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმი;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვახტანგ ციცვიძეს სახელზე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 27-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №41-ში მდებარე უძრავი ქონების ფაქტობრივად მცხოვრები პირებისათვის: კარენ ხანჯიანი, მარინე ცაბუტაშვილი და ელენე ცაბუტაშვილი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ზემოაღნიშნულმა პირებმა განცხადებებით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას მათ მიერ დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებისათვის უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის მიზნით, თავის მხრივ, გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კარენ ხანჯიანი და ელენე ცაბუტაშვილის 2005 წლიდან, ხოლო მარინე ცაბუტაშვილი დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ცხოვრობენ მისამართზე, ამასთან მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით, აღნიშნული პირები 2005 წლიდან ცხოვრობენ მისამართზე;
- მარინე ცაბუტაშვილი და ელენე ცაბუტაშვილი ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში და დანართში ტექნიკური ხასიათის შეცდომების კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით გასწორების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 28-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა N7ბ, მე-5 სართულზე მდებარე 38.32 კვ.მ ფართის ბინა N40-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე ნანა პაპუკაშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას და ითხოვა, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, რეკომენდაციით მიემართა ქალაქ თბილისის მერს;
- დაინტერესებული პირის მიერ, 1999 წლიდან უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს მოქალაქეები ნოტარიულად დამოწმებული აქტით, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო, სამგორის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით პირი მისამართზე ცხოვრობს 1991 წლიდან.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნანა პაპუკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით გასწორების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 29-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელ წინუბანი, იალნოს ქუჩა N9 (ს/კ N81.08.09.513), ფაქტობრივად მცხოვრები პირებისათვის: თამარ ჭინჭარაული და მარიამ ზვიადაური, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა პირებმა და ითხოვეს ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამგომლობის გაწევა;
- დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით თამარ ჭინჭარაული 1998 წლიდან ცხოვრობს მისამართზე, ხოლო, მარიამ ზვიადაური 1997 წლიდან;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 30 -ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩა, „გ" ზონა, N18-ში, პირველ სართულზე, მდებარე 82.12 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე ირაკლი ფაღავასთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას და ითხოვა ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივა, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობით მიემართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებული პირის მიერ 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დიოსკურია ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმი, ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ფაღავა ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე 1993 წლიდან;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ირაკლი ფაღავას სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ინფორმაციით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ირაკლი ფაღავა დევნილად რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 31-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში, პირველ სართულზე მდებარე 70.22 კვ.მ. ფართის და 12.89 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, მედეა გაგნიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მედეა გაგნიძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მედეა გაგნიძე მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 35 წელია ცხოვრობს, ხოლო, კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტისა და მეზობლების თანხმობით, ცხოვრობს 1993 წლიდან,
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მედეა გაგნიძის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 32-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი N36ვ, სართული 3, ბინა N7-ში მდებარე 80.30 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე მიხეილ გუმბერიძისისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას და ითხოვა მის ფაქტობრივ საკუთებაში არსებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მრივ, გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, რეკომენდაციით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტრესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს მოქალაქეთა ნოტარიულად დამოწმებული აქტი, ამასთან,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიხეილ გუმბერიძე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 28 წელია ოჯახთან ერთად;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მიხეილ გუმბერიძისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში მიხეილ გუმბერიძე და მიმისი ოჯახის წევრები არ არიან რეგისტრირებულნი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
33. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 33-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დვრიტასთვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ისნის რაიონის გამგეობას წერილით მიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დვრიტას" თავმჯდომარემ ნუნუ სილაგაძემ და ითხოვა, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4-ში მცხოვრებ ამხანაგობის წევრებს ამხანაგობა „დვრიტას" პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეთ, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართები (სამზარეულოები, სველი წერტილები); თავის მხრივ, გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის კორპუსი N4 მდებარე ორსართულიანი, ხუთსადარბაზოიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანი"-ის საერთო საცხოვრებელს. აღნიშნულმა ფაბრიკამ თავისი საბინაო ფონდი გადასცა ისნის რაიონის საბინაო საექსპლუატაციო ტრესტს. ვინაიდან მაშინდელი მდგომარეობით აღირიცხებოდა მხოლოდ საცხოვრებელი ფართები, აღნიშნულის გამო საცხოვრებელი ფართები გადაეცათ მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში, ხოლო სველი წერტილები და სამზარეულოები დარჩა სახელმწიფო ბალანსზე. ყოველივე ზემოაღნიშნული

არაერთ პრობლემას უქმნის მოქალაქეებს, კერძოდ, მოქალაქეებს ბუნებრივი აირის შიდა ქსელი მოწყობილი აქვთ მხოლოდ ფართების იმ ნაწილში, რომლებიც რეგისტრირებულია მათ კერძო საკუთრებაში, ხოლო სამზარეულოები და სველი წერტილები რჩებათ ბუნებრივი აირის გარეშე, ვინაიდან მათი მესაკუთრე სახელმწიფოა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის კომისიის დსკვნის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
34. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 34-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება N18-ში, პირველ სართულზე მდებარე 47.14 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე ნუკრი გალუსტაშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნუკრი გალუსტაშვილმა და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებული პირის მიერ 2012 წლიდან დღემდე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, მოქალაქეთა ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნუკრი გალუსტაშვილის ცხოვრობს 2012-2013 წლებიდან, ხოლო, გამგეობის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, პირი ცხოვრობს 2011 წლიდან.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნუკრი გალუსტაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ცოტნე კობერიძემ თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ხოლო, სხდომაზე დამსწრე კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 35-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, ზემო პლატოს კორპუს №10, მე-2 სართული 60.42 კვ.მ. ბინა №6-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მოქალაქე ბასე პეშოიანისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ბასე პეშოიანის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას აღნიშნული პირის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების მისთვის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, თავის მხრივ, გამგეობამ საკითხის შესწავლის შემდგომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ-ქონების მართვეის სააგენტოს;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბასე პეშოიანი ათ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობს მისამართზე, ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, გამგეობის მიერ შედგენილი შემოქმების ოქმი, ამასთან, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, დასტურდება ბასე პეშოიანი 2011 წლიდან ცხოვრების ფაქტი;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
36. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 36-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ნასაგური, იორის ქუჩა №4-ში პირველ სართულზე, 140.98 კვ.მ. ფართის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მოქალაქე იაგო ბერმამუკელისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- სამგორის რაიონის გამგეობის წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას იაგო ბერმამუკელისთვის ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით;
- დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციით, აღნიშნულს ასევე ადასტურებს, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოქმებული განცხადება;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 37-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში მდებარე უძრავი ქონების (საერთო ჯამში გადაეცემათ 229.13 კვ.მ უძრავი ქონება), ფაქტობრივად მცხოვრები შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ლანა კაციაშვილი, გიორგი ქურასბედიანი, ალექსანდრე თანდილაშვილი, მარინე ბასილაშვილი, თეა ტაველიშვილი და იამზე ხურცილავა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ამასთან, ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- დაინტერესებულ პირთა მიერ 1999 – 2000 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია, ასევე, სამგორის რიაონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით დასტურდება მოქალაქეთა 1998-2000 წლებიდან ცხოვრების ფაქტი;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 38-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის II ჩიხის N8, ბინა N1, 72.20კვ.მ პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე ლილი ფირანიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლილი ფირანიშვილმა და ითხოვა თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, უძრავი ქონების პრივატიზების საკითხზე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაინტერესებული პირის მიერ, 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული აქტები;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ლილი ფირანიშვილსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ლილი ფირანიშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პროექტის სათაურის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 39-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს/საჭიროებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N16 განკარგულების პირველ პუნქტში ცვლილების შეტანას და მოქალაქე მაკა ხოხონიშვილისათვის ამავე განკარგულებითა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულების შესაბამისად, გადაცემული უძრავი ქონების ფართის ოდენობის ცვლილებას, რაც გულისხმობს, ნაცვლად 69.17 კვ.მ. ფართისა, 92.29 კვ.მ ფართის მითითებას;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, ქალაქ თბილისის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის N22.305.337 განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ცვლილება შეიტანოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულების პირველი პუნქტით, დანართად განსაზღვრულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში, რაც გაფორმებულ იქნა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მოქალაქე მაკა ხოხონიშვილს შორის, ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს მიერ გაცემული ზემოაღნიშნული აქტების საფუძველზე, უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნიობრიობით;

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულების პირველი პუნქტით, დანართად განსაზღვრულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ, თანხმობის გაცემის შემთხვევაში, განხორციელდება, ქალაქ თბილისის მთავრობის წარმოდგენილი

განკარგულების დანართად განსაზღვრული შეთანხმების პროექტით, ამასთან, ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:

- შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მაკა ხოხონიშვილს საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ვარკეთილის 3-ში, მე-2 მიკრო/რაიონის, კორპუს N14-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.17 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, თუმცა მოქალაქესთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მოქალაქის მოთხოვნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში ჩაატარა აზომვითი სამუშაოები და აღნიშნული პროცედურების შემდგომ დადგინდა, რომ მაკა ხოხონიშვილის მიერ დაკავებული ფართი იყო 92.29 კვ.მ ნაცვლად 69.17 კვ.მ ფართისა და ვინაიდან, აღნიშნული ცდომილება იყო სიტუაციური ნახაზით გაკეთებულ გამიჯვნის დროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში წარმოებით ზემოაღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა კორექტირებული ფართით;

- წარმოდგენილი ცვლილების მიზანია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 მთავრობის განკარგულებაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირს - მაკა ხოხონიშვილს შორის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ 2022 წლის 9 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N16 განკარგულებაში, დაინტერესებული პირისათვის ამავე აქტებით გადაცემული უძრავი ქონების ფართის ოდენობის ნაწილში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ცვლილების, სამართლებრივი საფუძვლებისა და პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე, ასევე აღნიშნა, რომ პროექტის პირველ პუნქტად განსაზღვრული საკითხი, განისაზღვროს მე-2 პუნქტად, ხოლო, მე-2 პუნქტად განსაზღვრული მე-3 პუნქტად, კომისიის დასკვნის შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
40. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-40 საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუსი N21ა-სა და

კორპუსი N21ბ-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამში გადაეცემათ 561.58 კვ.მ უძრავი ქონება) ფაქტობრივად მცხოვრები შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- მარიამ შაშიაშვილი, ეკა გელოვანი, გურამ პატარაია, ეთერ წიკლაურმა, გიორგი ქართველიშვილი, ნათელა გოგუა, დავით თავაძე, ირაკლი ტაბატაძე, ირაკლი შონია, ნიკოლოზ კელენჯერიძე, და ლევან ლომიძე;

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- დაინტერესებულ პირთა მიერ უძრავ ქონებაში 2008-2014 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, გამგეობის შემოწმების აქტების მიხედვით,მოქალაქეები ცხოვრობენ 2005-2012 წლებიდან, აღნიშნულ ასევე ადასტურებს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გამარჯვება"-ს კრების ოქმი;
- ნაძალადევის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ზემოაღნიშნული მოქალაქეებისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავ ქონების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზება;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
41. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 41-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N34, მე-2 სართული, 67.74 კვ.მ ფართის, 19 წლის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე ვასილი ჩაჩუასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ვასილი ჩაჩუამ და ითხოვა მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო,

გამგეობის მიერ, საკითხის გამოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობით მიემართა ქალაქ თბილისის მიერ;

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 19 (ცხრამეტი) წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებენ, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების თანამშრომლების მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმები, ხოლო, მეზობლების, ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით, ადასტურებენ, ვასილი ჩაჩუა 2000 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას,
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვასილი ჩაჩუას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების უძრავ ნივთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, უბოს I ჩიხი, N4; საკადასტრო კოდი: 81.01.05.731;
- სსიპ - დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ვასილი ჩაჩუა დევნილად რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
42. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 42-ე საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი № 122, სართული 1, ბინა № 1-ში მდებარე 84.69 კვ. მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მოქალაქე ამირან ცაბაძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევაზე, მის მიერ დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების მიზნით, თავის მხრივ, საკითხის შესწავლის შემდგომ გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციით, დასტურდება დაინტერესებული პირის მიერ, 30 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით დასტურდება აღნიშნული პირის მიერ 1990 წლიდან ცხოვრობის ფაქტი;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგით - რიგით 43-ე საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება IV ბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 46 000 (ორმოცდაექვსი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, შპს „ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"-ის (ს/ნ:402037746) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N19-ში არსებული 752 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- შპს „ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტის" დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქ. თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N19-ში არსებული 752 კვ.მ მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, ამასთან განმარტა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სოლო დღეის მდგომარეობით, მასზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით შეთანხმებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და საპროექტო ობიექტად განსაზღვრულია საბავშვო ბაღი, თუმცა, ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის გავრცელების გამო, მესაკუთრეს შეეზღუდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა;
- ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, „მწვანე ქალაქის" კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების, გამწვანებული ტერიტორიების, არსებული

სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნებისა და ახლის შექმნის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემოთავაზებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიმდებარედ მცხოვრები დაახლოებით 250 ოჯახისთვის;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და კრწანისის რაიონის გამგეობა თანახმანი არიან განხორციელდეს ქ. თბილისში, კრწანისის II შესახვევი N19-ში არსებული 752 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება;
- შპს „ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტისთვის", ადგილმონაცლეობის მიზნებისთვის შეთავაზებულ იქნა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IVბ მიკრორაიონში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაზეც, კომპანია, თანხმობა განაცხადა;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნევს, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IVბ მიკრორაიონში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ შეფაებებზე, რომელთა თანასმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2021 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 278 250 (ორას სამოცდათვრამეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო, შპს „ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტის" საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2021 წლის 24 დეკემბრის დასკვნის თანახმად, 2021 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 232 368 (ორასოცდათორმეტი ათას სამასსამოცდარვა) ლარი, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება 45 882 (ომოცდახუთი ათას რვაასოთხმოცდაორი) ლარით აღემატება შპს „ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, კომპანია თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პროექტის მე-2 პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 44-ე საკითხად

განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის; ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის და ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურით 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარი, მოქალაქე კარლო ტალახაძის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1261 კვ.მ მიწის ნაკვეთის, შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- მოქალაქე კარლო ტალახაძემ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, მის საკუთრებაში არსებული 1261 კვ. მ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა, ამასთან, განმარტა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, კარლო ტალახაძის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), შემდეგი სამშენებლო კოეფიციენტებით: კ1- 0.5; კ2 – 2.1; კ3 – 0.2. ხოლო, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ, მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატყეო ზონა, ამასთან, მიწის ნაკვეთზე, თემატური რუკის მიხედვით, ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა, ასევე, ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა შეუსაბამო ქალაქმშენებლობით დოკუმენტად იქნა მიჩნეული, რითაც, მესაკუთრეს შეეზღუდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა;
- სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სატყეო ზონა, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა, ამასთან, ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა მიჩნეულია შეუსაბამო ქალაქმშენებლობით დოკუმენტად, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება;
- ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა განაცხადა თანხმობა განხორციელდეს შემოთავაზებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება;
- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნებისთვის კარლო ტალახაძისთვის შეთავაზებულ იქნა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებები, რაზეც, განაცხადა თანხმობა და ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საკადასტრო ერთეულების ჯამური ღირებულება აღემატება გაცვლას დაქვემდებარებულ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, გამოთქვა მზაობა, გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრილი საპრივატიზებო საფასური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და ურბანული განვითარების სააგენტო, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეულის განკარგვას (სანაცვლოდ გადაცემა) განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, მიმდებარე არეალთან ერთად;

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 21 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კარლო ტალახაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 857 480 ლარის ოდენობით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ჯამურმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 885 468 ლარი, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების ჯამური საბაზრო ღირებულება 27 988 ლარით აღემატება მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, რაზეც, განმცხადებელმა, თანხმობა განაცხადა განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 28 000 ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პროექტის მე-3 პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა მისაღები უძრავი ქონების ნაცვლად, დაინტერესებული პირისათვის პროექტით წარმოდგენილი ფართების გადაცემის საკითხი, ვინაიდან, უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ყოველი საჭიროების დადგომისას, მუნიციპალიტეტისათვის უფრო პრიორიტეტულია, გადასცეს დაინტერესებულ პირს არა ტოლფასი მიწის ნაკვეთი, ვინაიდან მიწის რესურსი შეზღუდულია, არამედ, შესაბამისი ფართი, როგორც პროექტით წარმოდგენილი შემთხვევისას.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

45. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 45-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უნივერსიტეტის ქუჩა N15ბ-ში 400 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა N1-ში საერთო ფართით 215,6 კვ.მ. გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით გარეშე, პრივატიზებაზე, მოქალაქე გიორგი გოგილაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფანასკერტელის ქუჩა N20-ის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული 278 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- მოქალაქე გიორგი გოგილაშვილმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ფანასკერტელის ქუჩა N20-ის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული 278 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა N1-ში საერთო ფართით 215,6 კვ.მ, ამასთან, განმცხადებელმა განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის ბრძანებით უძრავ ქონებაზე შეთანხმებული იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა). ასევე, გაცემულ იქნა ახალი სპეციალური ზონალური შეთანხმება, მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით, აღნიშნულის შემდგომ, არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, გაიცა უარყოფითი გადაწყვეტილება მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო/კომერციული) ესკიზის წინასწარი შეთანხმების თობაზე, ვინაიდან, ტერიტორია არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, რითაც, შეიზღუდა მესაკუთრის უფლება, განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები უძრავ ქონებაზე.
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 21 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 335 258 (სამას ოცდათხუთმეტი ათას ორას ორმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 2021 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 107 804 (ასვიდი ათას რვაასოთხი) აშშ დოლარს, ხოლო, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, მიწის ნაკვეთისათვის მინიჭებული ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) გათვალისწინებით, 2022 წლის 14 მარტის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 367 348 (სამას სამოცდაშვიდი ათას სამას ორმოცდარვა) ლარის ოდენობით, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 2022 წლის 14 მარტის მდგომარეობით შეადგენს 113 702 (ას ცამეტი ათას შვიდასორი) აშშ დოლარს.
- მოქალაქის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 5 898 (ხუთი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) აშშ დოლარით აღემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, რომელიც დაანგარიშებულ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების გამოცემის დღეს არსებული, ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი ვალუტის კურსის შესაბამისად;
- მოქალაქე გიორგი გოგილაშვილმა განაცხადა თანხმობა გაცვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უძრავ ქონებებს შორის არსებულ სხვაობასთან დაკავშირებით, არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, ამასთან, მისივე განმარტებით, მისთვის ცნობილია უნივერსიტეტის ქუჩა N15ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული სარგებლობის უფლების (იჯარა) თაობაზე და თანხმობას აცხადებს, უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ რეგისტრაციის შემთხვევაში, დაიცვას იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პროექტის მე-2 პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

46. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 46-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს" (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარმოდგენილი განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად ცვლილებების შეტანის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, კერძოდ, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის 2021 წლის 28 ივნისიდან - 2021 წლის 30 დეკემბრამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსა და V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის 2021 წლის 28 დეკემბრიდან ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ვარკეთილი დეველოფმენთის" გათავისუფლებაზე.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს" შორის, 2019 წლის 28 ივნისს გაფორმდა „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ" იმპლემენტაციის ხელშეკრულება, რომლის საგანია, შენობა-ნაგებობების მშენებლობა და მუნიციპალიტეტისთვის, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახების დაკმაყოფილების მიზნით, 7545 (შვიდი ათას ხუთას ორმოცდახუთი) კვ.მ ჯამური ფართის მქონე საცხოვრებელი ბინების გადაცემა იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან. სააგენტო საკუთრებაში გადასცემს კომპანიას ქალაქ თბილისში, მასივი III მდებარე 30205.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რაც დღეის მდგომარეობით, დაყოფილია და ფორმირებულია 5 (ხუთი) საკადასტრო ერთეულად;

- ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ამ ხელშეკრულების დადებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- ქონების შემძენმა 2021 წლის 28 მაისის და 2022 წლის 7 მარტის განცხადებებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განკარგულ მიწის ნაკვეთზე, ამავე ხელშეკრულების გაფორმებამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა არ შეესაბამებოდა რეგისტრირებულ საკადასტრო საზღვრებს და საჭიროებდა კორექტირებას, რაც თავისთავად აფერხებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული IV და V ლოტებისთვის მიკუთვნებული ნაკვეთების დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულებად რეგისტრაციისა და შესაბამისად თითოეული ლოტის ფარგლებში მშენებლობის ნებართვის აღების პროცესს. მითითებული გარემოებებისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება მიმდინარეობს მსოფლიო პანდემიის პირობებში, კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულების გარკვეული პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გაგრძელება და IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულების 25-ე პუნქტით დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება;
- ქონების შემძენს ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების თანახმად, 2021 წლის 28 ივნისიდან - 2021 წლის 30 დეკემბრამდე ეკისრება პირგასამტეხლო - 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო, V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის თანახმად, 2021 წლის 28 დეკემბრიდან 2022 წლის 15 მარტამდე ეკისრება პირგასამტეხლო - 156 000 (ას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით, ამასთან, პირგასამტეხლოს დენა გრძელდება სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის შეთანხმების გაფორმების დღემდე (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2000 ლარის ოდენობით);

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენდა კომპანიისგან დამოუკიდებელ, თუმცა, განსახორციელებელი სამუშაოების შემაფერხებელ მიზეზს და კომპანიის მიერ შესაბამისი განცხადება წარმოდგენილ იქნა დროულად, ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაკმაყოფილდეს კომპანიის მოთხოვნა და ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ხელშეკრულებას დაემატება 1.16 პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „1.16. განაშენიანების რეგულირების გეგმა - ამ ხელშეკრულების დანართი N3-ით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N509 განკარგულებით, მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით“.

2. 8.1.1. ქვეპუნქტის მიხედვით, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება ნებართვის ფაქტობრივად მოპოვების თარიღი - არაუმეტეს 2021 წლის 30 დეკემბერი, ხოლო V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება - არაუმეტეს 2022 წლის 19 ოქტომბერი;

3. 8.1.4. ქვეპუნქტსა და მე-16 პუნქტში, საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვისა და მუნიციპალიტეტისთვის ფართების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ვადა, 36 თვის ნაცვლად, განისაზღვრება 42 თვით;

4. მე-13 პუნქტის ცვლილებით, გაუქმდება სააგენტოსთვის ფართების გასხვისების თაობაზე მოთხოვნის წარსადგენად განსაზღვრული მაქსიმალური 90 (ოთხმოცდათი) დღიანი ვადა, თუმცა უცვლელი რჩება საბანკო გარანტიის წარმოდგენის ყველა პირობა და წესი.

5. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ხელშეკრულების დანართ #1-ში და მასში მითითებული ხელშეკრულების 1.13 პუნქტი შეიცვალოს 1.14 პუნქტით.

6. ქალაქ თბილისის საკრებულოს წარედგინება საკითხი ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ვარკეთილი დეველოფმენთის" გათავისუფლების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის კომისიის დასკვნის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

47. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 47-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის იბა „სხივი 91"-ისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის - 672 800 (ექვსას სამოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით იბა „სხივი 91"-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 აპრილის N01-01201121267 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა იბა „სხივი 91"-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და ყურადღება გაახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 ოქტომბრის N31 სხდომის ოქმიდან ამონაწერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის 2021 წლის 1 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინება არ გასაჩივრდა საკასაციო წესით, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამავე სხდომის ოქმიდან ამონაწერის მიხედვით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა, რომ უზრუნველყოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ: სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და უფლებამოსილი ორგანოსათვის/თანამდებობის პირისათვის წარდგენა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდო სასამართლო გადაწყვეტილებებში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს/არგუმენტებს, კერძოდ:

▪ ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფი (9 მოქალაქის შემადგენლობით), ჩამოყალიბდა ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობა და ეწოდა „სხივი-91", ქავთარაძის ქუჩაზე, ტრესტ „ინჟმშენის" ტერიტორიის ნაწილი გამოყოფილი იქნა ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგური სახლის ასაშენებლად, ასაშენებელ ამხანაგურ სახლში სურვილი გამოთქვეს აკადემქალაქისა და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ოჯახებმა და წარმოადგინეს საინიციატივო ჯგუფი 9 მოქალაქის შემადგენლობით; ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1992 წლის ბრძანებით ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ტრესტ „ინჟმშენის" ტერიტორიაზე ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სხივი-91"-ისათვის შეთანხმდა 17 სართულიანი, 2 სექციიანი, 64 ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი;

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების თანახმად, შპს „დიაბეტსა" და შპს „პეანს" დაუმაგრდათ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთები ქავთარაძის ქ. N27-ში. ამავე დადგენილებაში მითითებულ იქნა, რომ თუ „ინჟმშენის" საბინაო კოოპერატივი სურვილს გამოთქვამს კოოპერატიული სახლის მშენებლობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა შეცვალოს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სხვა შესაბამისი ტერიტორიით."

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი იქნა ზემოაღნიშნული ამხანაგობის მიერ წარდგენილ იქნა განცხადებები, ხოლო, პასუხად სააგენტოს/მერის შესაბამისი წერილებით, განმცხადებელს განემარტა, რომ ვინაიდან, სახელმწიფო შიდა ვალის აღიარება და საქმის გარემოებათა გამოკვლევა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამუშავებულ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იბა „სხივი - 91" არ ფიგურირებს, შესაბამისად, აღნიშნული ამხანაგობის მიმართ, კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საშინაო ვალი აღიარებული არ არის, რის გამოც, ამხანაგობას ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, შესაბამისი წერილი, ამხანაგობის მიერ აღნიშნული წერილი გასაჩივრებული იქნა სასამართლოში, სადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მისი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად ცნობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ამხანაგობისათვის ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. 27-ში მდებარე 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, ტოლფასოვანი მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით.

▪ სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ნაწილში, გარდა, სხვა საკითხებისა, ასევე აღნიშნავს, რომ ამხანაგობის მოთხოვნა არ უნდა იქნას განხილული „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაზარალებული პირების მიმართ ვალის აღიარების კონტექსტში, არამედ უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა, რაც წარმოიშვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის დადგენილების საფუძველზე;

▪ ქალაქ თბილისის მთავრობა ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლს, რომლის თანახმად, „სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.". შესაბამისად, მთავრობა აღასრულებს და სრულად ეყრდნობა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს.

▪ მთავრობა ეყრდნობა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იბა „სხივი-91" შეიქმნა სამშენებლო ტრესტ „ინჟმშენთან", ქავთარაძის ქუჩაზე, „ინჟმშენის" ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით და იგი შეიქმნა სწორედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიერ, თუმცა, 1998 წელს შპს „დიაბეტისა" და შპს „პეანისათვის" იქნა გადმოცემული მიწის ნაკვეთი, რაც დღეის მდგომარეობით, დაახლოებით ემთხვევა N01.14.03.040.278 და N01.14.03.040.354 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, რომელთა მესაკუთრეებად, დღესაც მითითებულია შპს „დიაბეტი" და შპს „პეანი";

▪ „სხივი 91"-ის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებით, დგინდება, რომ ამხანაგობა დაფუძნებულია 34 ფიზიკური პირის მიერ, ხოლო ამხანაგობის თავმჯომარედ არჩეულია ლელა გეჯაძე ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებები გაწერილია ამავე ხელშეკრულებით, მათ შორის, აღნიშნული ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ამხანაგობის წევრთა (მონაწილეთა) საერთო კრების გადაწყვეტილების, თანხმობისა და მოწონების გარეშე, ერთპიროვნულად და

შეუზღუდავად მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მათ შორის, ამხანაგობის მიერ ვალდებულებების აღება, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, ამხანაგობის სახელით ნარდობის ხელშეკრულების გაფორმება, ინვესტიციების განხორციელება, ინვესტორის მოძიება, მასთან ხელშეკრულებების დადება და სხვა.

მომხსენებელის განმარტებით, სააგენტოში ამხანაგობისა და მის მიერ მოძიებული საინვესტიციო კომპანიის მიერ წარდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამხანაგობის წევრთა დასაკმაყოფილებლად საკმარისია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთი თუ მასზე გავრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და მისი შესაბამისი სამშენებლო პარამეტრი იქნებოდა - კ-2=3.5. თუმცა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2), ხოლო განაშენიანების კ-2 კოეფიციენტი განსაზღვრულია 4,6-ით, ინვესტორი კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას გადაიხადოს აღნიშნულ კოეფიციენტებს შორის სხვაობის შესაბამისი ოდენობა არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით, მას შემდეგ რაც, ამხანაგობასა და ინვესტორს შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

მომხსენებლისვე მითითებით, განცხადების თანახმად, ამხანაგობა აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და სასამართლო დავის ფარგლებში ამხანაგობის მიერ წარდგენილი და მასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები. შესაბამისად, ამხანაგობა აცნობიერებს და ადასტურებს, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მოთხოვნის უფლება გააჩნია ამხანაგობის ყველა წევრს (მათ შორის, დღეის მდგომარეობით იდენტიფიცირებულ და არაიდენტიფიცირებულ პირებს), ასევე, შესაძლოა არსებობდნენ მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამხანაგობისთვის გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ არა მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო ორგანოების, არამედ - ამხანაგობის წინაშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობა იღებს ვალდებულებას, რომ ამ უძრავი ქონებიდან დააკმაყოფილოს ამხანაგობის დღეის მდგომარეობით ყველა იდენტიფიცირებული წევრი. ამხანაგობა ასევე იღებს ვალდებულებას, სხვა, დღეის მდგომარეობით არაიდენტიფიცირებადი ამხანაგობის წევრებს ან ზემოთ მითითებული სამართლებრივი საფუძვლით, სხვა მოთხოვნის უფლების მქონე ნებისმიერი პირის მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი დაკმაყოფილება.

ამასთან, მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ამხანაგობის თავმჯდომარე, ამხანაგობის ყველა წევრის სახელით, შემოთავაზებული მიწის ნაკვეთის ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემის შემდგომ, უარს აცხადებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების და ასევე, სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე.

▪ ქ. თბილისში, დოლაბაურის ქ. №6-ში მდებარე,2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) – 4,6, ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, კ2 კოეფიციენტის ფარგლებში ასათვისებელი განაშენიანების მაქსიმალური ფართობი შეადგენს - 9 793,4 კვ.მ-ს.

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამხანაგობისთვის გადასაცემი ტოლფასოვანი მიწის ნაკვეთის დადგენის პროცესში, ორიენტირად აღებულია სწორედ ამხანაგობისათვის ასაშენებელი ფართის მოცემულობა და მიწის ნაკვეთის ტოლფასოვნება განსაზღვრულია მოძიებული მიწის ნაკვეთის იმავე სამშენებლო პოტენციალით განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით, როგორც იყო შეთანხმებული ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის შესაბამისი ბრძანებით შეთანხმებული პროექტით.

▪ ამხანაგობა თანხმობას აცხადებს, რომ ამხანაგობის წევრთა დასაკმაყოფილებლად საკმარისია და თანახმა არიან ქავთარაძის ქ.27-ში გამოყოფილი მიწის ნაკვეთისა და მის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემი მიწის ნაკვეთის ტოლფასოვნება შეფასდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით, ხოლო ვინაიდან, გადასაცემ მიწის ნაკვეთზე დღეის მდგომარეობით, ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2, ისინი თანახმა არიან, ამხნაგობის მიერ მოძიებულმა ინვესტორმა კომპანიამ გადაიხადოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაიხადონ აღნიშნული ზონების პარამეტრების გათვალისწინებით საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული ფასთა სხვაობა;

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, მიწის ნაკვეთის განკარგვა მიზანშეწონილად მიაჩნია მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად;

▪ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეფასება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (კ2-3,5), ასევე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (კ2=4,6) პარამეტრების გათვალისწინებით და დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის განსაზღვრა.

▪ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 17 ნოემბრის N5007766221 დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, დოლაბაურის ქ. №6-ში მდებარე 2129 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრების გათვალისწინებით (კ2=4.6) საორიენტაციოდ შეადგენს 3 359 562 ლარს; ხოლო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრების გათვალისწინებით (კ2=3.5) - 2 686 798 ლარს, ამასთან, აღნიშნულ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა ფუნქციური ზონების გათვალისწინებით (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (K2=4.6) - 3 359 562 ლარი, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (K2=3.5) - 2 686 798 ლარი) შეადგენს 672 764 ლარს.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

48. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 48-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის (11 (თერთმეტი) პირი) და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის" (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2021 წლის 15 ოქტომბრიდან 2021 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 2371 კვ.მ.) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 3.5-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 850 კვ.მ-თ, ამასთან, აღნიშნულ ფართზე შეთავაზების მინიმალური ბიჯი შეადგენს 50 კვ.მ-ს და განისაზღვრება 50 -ის ჯერადი რიცხვით.

მომხსენებლივე მითითებით, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა დაინტერესებულმა პირმა- შპს „მს ბილდერმა" რომელმაც წარმოადგინა შეთავაზება 900 კვ.მ გადასაცემი ფართისა (თეთრი კარკასის მდგომარეობით) და სს „საქართველოს ბანკის" მიერ გაცემული 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის- ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, , განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სუბიექტი გამარჯვებულად გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვაში.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, პროექტის დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების 11 პირი) სიის ფორმირება განხორციელდა სააგენტოში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციი და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, იმგვარად, შესაძლებელი ყოფილიყო ფართის ჯამურად განსაზღვრულ ოდენობაში (900 კვ.მ კვ.მ-ში), აღნიშნულმა პირებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილი/ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის იმ განკარგულების მითითების მიზანშეწონილობაზე, რითაც მოწონებულ იქნა საკითხი, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულების ზოგადი ფორმით მითითებაზე, ასევე, პირველი პუნქტის სტილისტურად გამართვის საკითხზე.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
49. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 49-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილების მე-12 მუხლში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

- ცვლილების თანახმად, 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, რეგისტრაციის ელექტრონული ფორმის შევსების გარეშე გახდება შესაძლებელი უკრაინის მოქალაქე 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების დარეგისტრირება, რომლებიც 2022 წლის 01 იანვრის შემდეგ შემოვიდნენ საქართველოში, ამასთან, 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით 2022 წლის 01 იანვრამდე საქართველოში შემოსული 2-დან 6 წლამდე ასაკის უკრაინის მოქალაქეები, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში რეგისტრაციას დაექვემდებარებიან ელექტრონული ფორმის შევსების გარეშე, დროებითი ცხოვრების უფლების, ბინადრობის ნებართვის ან/და ბინადრობის უფლების მაძიებლის სტატუსის ქონის შემთხვევაში.

- სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, 2022 წლის 01 იანვრიდან საქართველოში შემოსულმა უკრაინის მოქალაქეებმა, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სწავლას დაქვემდებარებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უკრაინის მოქალაქეების რეგისტრაციის თხოვნით, უნდა მიმართონ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" და უნდა წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია.
- დადგენილებით დამტკიცებული წესის მიზნებისათვის, უკრაინელი მოქალაქეების მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვროს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" დირექტორის ბრძანებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყვებისთანავე და გავრცელდება 2022 წლის 16 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ამასთან, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და დადგენილების მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლით წარმოდგენილი წესის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში მიეთითოს, რომ პუნქტში მითითებული წესი მოქმედებს 2022 წლის 01 იანვრიდან შემოსულ უკრაინის მოქალაქეებზე, შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, რეგისტრაციის ელექტრონული ფორმის შევსების გარეშე რეგისტრაცია განხორციელდეს 2022 წლის 01 იანვრიდან საქართველოში შემოსულ უკრაინის მოქალაქე 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების და ასევე იმ ბავშვების, რომელთაც საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დაწყების შემდგომ მომავალი საწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში უსრულდებათ 6 წელი."

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 16 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე."

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

50. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 50-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტში შემდეგი ცვლილების განხორციელებას:

- ცვლილება შედის რეგლამენტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, საკრებულოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის შვებულების და ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მივლინების თაობაზე, ასევე ნიშნავს საკრებულოს დელეგაციის ხელმძღვანელს.
- ცვლილების მიხედვით ამოღებულია რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, პროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშის უფლებრივ მდგომარეობაზე და მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

51. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 51-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,ედემის" მიმართ გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N2 ოქმზე დაყრდნობით, სახეზეა შემდეგი სახის ინფორმაცია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებით მიმართა შპს „ედემმა" და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელი ვალდებულების შესრულებულად ჩათვლა, ხოლო, კომისიის მიერ საკითხის შესწავლისას, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ხოლო, შპს „ედემს" განსაზღვრული თანხის გადარიცხვა უნდა განეხორციელებინა სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. შპს „ედემმა" საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული თანხის 499 735 (ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ნაწილის, 399788 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდარვა) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადებში, ხოლო, დარჩენილი თანხის 99 947 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (304 348,60 ლარი), გადარიცხვა ზემოთაღნიშნულ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელა დადგენილი ვადების დარღვევით (10 კალენდარული დღის დაგვიანებით).
- შპს „ედემი" ითხოვს, რომ ჩაითვალოს საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით დადგენილი ვადების ფარგლებში შპს „ედემის" მიერ 2022 წლის 2 თებერვალს განხორციელებული გადარიცხვა - 304 348,60 ლარის ოდენობით;
- კომისიამ 2022 წლის 11 მარტის სხდომაზე აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ედემს" ამ ეტაპზე შესრულებული აქვს ვალდებულება სრულად, მათ შორის - ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრულ ვადებში შესრულებული აქვს ფინანსური ვალდებულების ნაწილი - 1 245 749.43 ლარის ოდენობით. ამასთან, როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, დარჩენილი ფინანსური ვალდებულების შესრულებისთვის (304 348,60 ლარი) ვადების დარღვევა მოხდა არსებული პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით(განსაზღვრული, შპს „ედემის" მიერ შესასრულებელი ვალდებულებები - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში - ჩაითვალოს ვადის ფარგლებში შესრულებულად, ამასთან, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების გამო, დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს შესაბამისი თანხის გადახდა;
2. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით

დაკისრებული გადასახადი განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

მომხსენებელმა დასძინა რომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა: შპს ,,ედემს", ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელი ვალდებულებები ჩაეთვალოს შესრულებულად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში, შემდეგი პირობებით:

- ✓ დაინტერესებულმა პირმა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების (10 კალენდარული დღით) გამო, უზრუნველყოს 591 (ხუთას ოთხმოცდათერთმეტი) ლარის გადარიცხვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს ,,მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- ✓ შპს ,,ედემმა" განსაზღვრული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადას;
- ✓ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2022 წლის 11 მარტის N2 სხდომის ოქმით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის, პროექტის პირველი მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და მე-2 მუხლის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ტექნიკურად გამართვა.

გადაწყვიტეს:
სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
52. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 52-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ.; დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბაღის და ავტოგასამართ სადგურს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს მიმართ გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებით მიმართა სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ქ. თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ., დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბაღის და ავტოგასამართ სადგურს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, თანხის გადახდის ნაწილში განსაზღვრული ვადის 2022 წლის 30 ივნისამდე ცვლილება/გაზრდა, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ წარმოდგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის (ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, რომელთა შესაბამისად, სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა უნდა განეხორციელებინა სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, იმგვრად, რომ თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
✓ სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-მ საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული თანხის 793 452 (შვიდას ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხასორმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ნაწილის - 55 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (170285.5 ლარი) გადარიცხვა განახორციელა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დადგენილ ვადებში, ამასთან, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" ითხოვს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულების - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში - განსაზღვრული ვადის ცვლილებას/გაზრდას 2022 წლის 30 ივნისამდე;

✓ როგორც კომისიამ 2022 წლის 11 მარტის სხდომაზე აღნიშნა, რამდენადაც, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" კომისიას მიმართა მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე და ამავე ვადაში მოითხოვა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდისათვის - განსაზღვრული ვადის ცვლილება/გაზრდა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით განსაზღვრული თანხის გადახდა ნაწილობრივ უზრუნველყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დადგენილ ვადაში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვალდებულების (ფინანსური მხარდაჭერის მიზნით განსაზღვრული თანხის გადახდა) შესრულებისთვის ვადების ცვლილება/გაზრდა;
ბ) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის ცვლილების/გაზრდის გამო დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს შესაბამისი თანხის გადახდა;
გ) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადი განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა;

- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელი ვალდებულებები ჩაეთვალოს ნაწილობრივ შესრულებულად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით N315, 23.07.2021 გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში, შემდეგი პირობებით:

1. დაინტერესებულმა პირმა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს „მარიჯანი , შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად უზრუნველყოს:
2. შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილის 738 452 (შვიდას ოცდათვრამეტი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

გადარიცხვა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით; ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის (158 კალენდარული დღით) გადაცილების გამო, თანხის 69 836 (სამოცდაცხრა ათას რვაას ოცდათექვსმეტი) ლარის გადარიცხვა;

3. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს 2022 წლის 30 ივნისს;

4. იმ შემთხვევაში, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" შესაბამისი თანხა გადაიხადა გათვალისწინებულ ვადამდე (30.06.2022-მდე), ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების გამო „ა.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა შეიცვალოს და დაანგარიშდეს შესაბამისი ფორმულის მიხედვით;

5. განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2022 წლის 11 მარტის N2 სხდომის ოქმით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის და პროექტის მე-2 პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
53. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 53-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31 არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ბაგები რეზიდენსის" მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებით მიმართა შპს ,,ბაგები რეზიდენსმა" და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდისათვის განსაზღვრული ვადის ცვლილება/გაზრდა, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ შეთანხმებულ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოსთან, შესაბამისი განკარგულებებით, შპს ,,ბაგები რეზიდენსს" განკარგულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა უნდა განეხორციელებინა, სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, იმგვარად, რომ თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- შპს ,,ბაგები რეზიდენსი" ითხოვს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულების - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდისათვის - განსაზღვრული ვადის ცვლილებას/გაზრდას 3 თვის ვადით;
- კომისიამ 2022 წლის 11 მარტის სხდომაზე აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ, შპს ,,ბაგები რეზიდენსმა" კომისიას მიმართა, მიერ მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე და ამავე ვადაში მოითხოვა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდისათვის - განსაზღვრული ვადის ცვლილება/გაზრდა, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისთვის ვადების ცვლილება/გაზრდა;

ბ) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის ცვლილების/გაზრდის გამო დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს შესაბამისი თანხის გადახდა;

გ) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადი განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ შპს ,,ბაგები რეზიდენსის" მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31-ში არსებულ

მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში, შემდეგი პირობებით:

- დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,ბაგები რეზიდენსმა" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს ,,მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-სშორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად უზრუნველყოს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული თანხის 280 003 (ორას ოთხმოცი ათას სამი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადარიცხვა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით;
- ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის (92 კალენდარული დღით) გადაცილების გამო, თანხის 16116 (თექვსმეტი ათას ას თექვსმეტი) ლარის გადარიცხვა;
- შპს ,,ბაგები რეზიდენსმა" განსაზღვრული თანხების გადარიცხვა, ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს 2022 წლის 07 ივნისს;
- იმ შემთხვევაში, თუ შპს ,,ბაგები რეზიდენსმა" განსაზღვრული თანხა გადაიხადა შესაბამის ვადამდე (07.06.2022-მდე), ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების გამო „ა.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა შეიცვალოს და დაანგარიშდეს შესაბამისი ფორმულის მიხედვით;
- შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2022 წლის 11 მარტის N2 სხდომის ოქმით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურის და პროექტის მე-2 პუნქტის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

54. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 54-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1; შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2; კოსმონავტების ქ.N45-47-49, ბოხუას ქ.#10, არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს ,,იერი ჯგუფის" მიმართ გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართეს შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" და შპს ,,იერი ჯგუფმა" და მოითხოვეს ქ. თბილისი, ილია აბულაძის ქ N 25-ში (ს/კ: N 01.14.15.001.368), ფართობი: 1435.00 კვ.მ) მდებარე სამშენებლო ობიექტის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ შორის იმ ობიექტებზეც, სადაც სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები ფინანსური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს და/ან მოხდეს კერძო პირთა მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული კლიენტთა სიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება, ზემომითითებულ მისამართებზე, ამ ეტაპზე, ყველა ობიექტზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე, უშუალოდ სარემონტო/სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები;
- იმისათვის, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" ზემოაღნიშნულ ობიექტებზე დაასრულოს დარჩენილი სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს ,,სი ემ სი"-სა და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფელირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს ,,სიემსი", მათ შორის შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად;
- შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო, იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმართვა, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება;
- კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართა შპს ,,იერი ჯგუფმა" და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა პაატა სვანიძემ;

- შპს ,,იერი ჯგუფის" საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, ილია აბულაძის ქ N 25 -ში მდებარე მიწის ნაკვეთი, ფართობი:1435.00 კვ.მ), მიწის ნაკვეთზე მოქმედი მიწათსარგებლობის გეგმის მიხედვით ვრცელდება:(კ-1) – 0,5; (კ-2) – 1,5; (კ-3) – 0,3, მიწის ნაკვეთზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით;
- დაინტერესებული პირის განმარტებით, მიმდებარედ არსებული განაშენიანების ინტენსივობის გათვალისწინებით, დასაშვებია სართულიანობის გაზრდა;
- შპს ,,იერი ჯგუფი" ითხოვს შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას (კ-2) 1.5-დან - 3.1 - მდე და კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მსენებლობის ნებართვის გაცემას სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

მომხსენებლის მითითებით, საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რის მიხედვითაც, მისამართზე - ქ. თბილისი, ილია აბულაძის ქ N 25 -ში მდებარე მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2022 წლის 26 იანვრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 612 763 ლარს.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,იერი ჯგუფის" საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას, გასცემს მოთხოვნის შესაბამისად რეკომენდაციებს, კომპანია გამოთქვამს მზაობას, ზემოაღნიშნულ მისამართებზე, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელოს 653 595 ლარის ოდენობით;

მომხსენებელმა ისაუბრა კომისიისა და ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ":

- კომისიის მოსაზრებიით, ვინაიდან, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ხოლო, ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, ასევე, სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. თბილისი, ილია აბულაძის ქ.N25-ში, არსებულ მიწის ნაკვეთთან, 1435.00 კვ.მ. მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა იმსჯელა და გადაწყვიტა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ და შპს „იერი ჯგუფს“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქ. თბილისი, ილია აბულაძის ქ.N25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება (კ-2) 1.5-დან 3.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;
- „იერი ჯგუფმა“ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 212 763 (ორასთორმეტი ათას შვიდასსამოცდასამი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- „იერი ჯგუფმა“ შესაბამისი თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, იმგვარად, რომ გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს უფლებამოსილი ორგანოს განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, სათაურში მიეთითოს იმ ობიექტის მისამართი, რომელზეც საკრებულოს მიერ ხდება ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე თანხმობის მიცემა. შესაბამისად, პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს აღნიშნულის გათვალისწინებით, ამასთან, დასძინა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მითითება გაკეთდეს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებებზე და ტექნიკურად გაიმართოს პროექტის მე-2 პუნქტი, კომისიის დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
55. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით 55-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქN45-47-49, ბოხუას ქ.#10 არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს „ნიუ სითის" მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართეს შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" და შპს „ნიუ სითიმ" და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N46, არსებული მიწის ნაკვეთზე (ფართობი - 5700 კვ.მ.) მდებარე სამშენებლო ობიექტის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ" გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ შორის იმ ობიექტებზეც, სადაც სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები ფინანსური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს და/ან მოხდეს კერძო პირთა მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული კლიენტთა სიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება ზემოაღნიშნულ მისამართებზე;
- იმისათვის, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" ზემოაღნიშნლ ობიექტებზე დაასრულოს დარჩენილი სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს ,,სი ემ სი"-სა და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფილირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს ,,სიემსი", მათ შორის შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, რის გათვალისწინებითაც, შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა აღნიშნულ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;

- აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმართვა, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება.
- კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართა შპს „ნიუ სითის" და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა პაატა სვანიძემ;
- შპს „ნიუ სითის" საკუთრებაშია ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N46, არსებული მიწის ნაკვეთი (5700 კვ.მ.) მოცემულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, დაინტერესებული პირის განმარტებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი მოიცავს 4 ბლოკს, საიდანაც დასრულებულია 1 ბლოკი, ნაწილობრივ აშენენულია 2 ბლოკი, ხოლო 1 ბლოკის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. დაინტერესებულ პირს სურს დამატებითი ბლოკის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება;

მომხსენებლის განმარტებით, შპს „ნიუ სითის" ითხოვს შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას:

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას (კ-2) 4.2-დან-5.4-მდე;
2. მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას (კ-1) 0.5-დან 0.6-მდე - ამასთან, დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ უკვე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების სიმაღლე შეესებამება მიმდებარე განაშენიანებას, შესაბამისად არ ხდება არსებულ ბლოკებზე სართულების დამატება და იგეგმება ახალი ბლოკის მშენებლობა. ახალი ბლოკი, თავის მხრივ, დამატებით იწვევს მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-1) გადამეტებას. 0.5-დან 0.6-მდე;
3. გადამეტებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ფარგლებში ავტოსადგომების სავალდებულო რაოდენობა არ იყოს გათვალისწინებული;
4. სიმაღლისა და მიჯნის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები;
5. საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულება განისაზღვროს როგორ შეთანხმებულ პროექტში - სრულად საცხოვრებელი.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რის მიხედვითაც, ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N46, არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 749 900 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,0521) შეადგენს 5 348 870 ლარს, ამასთან, დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „ნიუ სითი" საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას, გასცემს მოთხოვნის შესაბამისად რეკომენდაციებს, კომპანია გამოთქვამს მზაობას, ზემოაღნიშნულ მისამართებზე შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუსრულებელი მშენებლობების ფინანსური მხარდაჭერა განახორციელოს 499 971 აშშ დოლარის ოდენობით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა კომისიისა და ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ:

✓შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ხოლ, არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, რისთვისაც ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია: ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;

✓შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს „ნიუ სითის" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N46, არსებულ ნაკვეთზე (5700 კვ.მ) განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება (კ-2) 4.2- დან 5.4-მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული: სამშენებლო ობიექტის სიმაღლის განმსაზღვრელი ნორმები, მიჯნის ზონა, გადამეტებულ ფართზე ავტოფარეხების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები;
- შპს „ნიუ სითიმ" შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 499 971 (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- შპს „ნიუ სითიმ" თანხის გადარიცხვა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, იმგვარად, რომ თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

- შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- შპს „ნიუ სითიმ“ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე. ამასთან, აღნიშნული დასკვნის წარმოდგენა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნიუ სითის“ მიერ მშენებლობა ნაწარმოები იქნება არსებულ შენობა-ნაგებობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში მიეთითოს იმ ობიექტის მისამართი, რომელზეც საკრებულოს მიერ ხდება ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე თანხმობის მიცემა, ხოლო, პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს აღნიშნულის შესაბამისად, ასევე, დასძინა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მიეთითოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებებზე და ტექნიკურად გაიმართოს პროექტის მე-2 პუნქტი, კომისიის დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

სხდომაზე დამსწრე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი